სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23877866066323

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231155165

რეგისტრაციის თარიღი

24.08.2023 წ

ნოტარიუსი: თეა მაღალდაძე
მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის ქ. N6
ტელეფონი: 593326161

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაოთხ აგვისტოს მე, ნანა მოსია, საქართველოს ნოტარიუსს თეა მაღალდაძის შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა N6, მომმართა: **შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“** [ს/კ 402069006] დირექტორმა მეცლუდი მელაძემ, რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მეცლუდი მელაძემ [დაბ. 05.09.1972 წ. პ/ნ 01030024390, რეგ. მისამართზე: თბილისი წყაროს ქ. N 5] მომმართა.
მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

მე აგრეთვე შევამოწმე მეცლუდი მელაძის უფლებამოსილება, კერძოდ ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად არის **შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“-ს** [ს/კ 402069006] დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: ღი: B22039349, 06/04/2022 15:18:08.

მე დავადგინე მეცლუდი მელაძის, როგორც **შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“-ს** [ს/კ 402069006] დირექტორის ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე მინდობილობის ტექსტი. მე მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის შინაარსი და მასზე ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან წაიკითხა, მოიწონა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს, რის შემდეგ ჩემი - ნოტარიუსის შემცვლელი პირის თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, მეცლუდი მელაძემ, როგორც შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“-ს [ს/კ 402069006] **დირექტორმა,** რომელიც შემდეგ ამ მინდობილობაში წოდებულია ,,მიმნდობი" ამ მინდობილობით **მარიამი ბარბაქაძეს** [დაბ. 04.02.1991წ. პ/ნ 01019066422], რომელიც შემდეგში ამ მინდობილობაში წოდებულია ,,მინდობილი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
იყოს ჩემი, როგორც შპს **„საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“-ს** [ს/კ 402069006] **დირექტორის** წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან, გამგეობაში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობაში არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საკრებულოში, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, ტექბიუროში, კომუნალური მომსახურების, კავშირგაბმულობის, ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის სამსახურებთან ურთიერთობისას, სანოტარო ბიუროში, საპატრულო პოლიციაში, საჯარო რეესტრში, არქივში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საამზომველო კომპანიებში, **უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკვეთი 04/030, საკ.კოდი N 01.19.13.004.045, და/ან ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკვეთი 04/030, საკ.კოდი N 01.19.13.004.044** [მოაღნაგე: შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“] მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების *(გაპი)* რეკვიზიტების / განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) მიღებასთან, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანასთან (ფართი, მისამართი, პირადობის მონაცემები, ნომრის მინიჭება, გაყოფა, გამოყვნა, გაერთიანება, დანიშნულების შეცვლა, საზღვრის დადგენა, წითელი ხაზების რეგისტრაცია, ცვლილება და სხვა), შენობის დემონტაჟთან, რეკონსტრუქციასთან, ნებისმიერი ტიპის შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან, მიშენება/დაშენება, ღიობის ამოჭრა, სარემონტო სამუშაოების წარმოებასთან, კომუნიკაციის საშუალებების, ბუნებრივი აირის / წყლის / ელექტრო ენერგიის შეყვანასთან, მრიცხველების დამონტაჟებასთან, აბონენტად რეგისტრაციასთან, პროექტის წარდგენასთან, შეთანხმებასთან, ცვლილების შეტანასთან/კორექტირებასთან, ნებართვების მიღებასთან და უძრავი ქონებ(ებ)ის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მინდობილი პირი უფლებამოსილია იმოქმედოს შპს-ს სახელით, დაესწროს სხდომებს, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია (ამონაწერი, ცნობა, მოწმობა, ასლი), ნებართვა, ნახაზი, ფოტომონტაჟი და ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონულად), შეიტანოს ცვლილება, გააუქმოს/შეხსნას ვალდებულებაითი შეზღუდვა, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში, დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, აღმოფხვრას ხარვეზი, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, თანხმობა, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს (მათ შორის ელექტრონულად), შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია 1 [ერთი] წლის ვადით.
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარი ძალის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.
იურიდიული პირის წარმომადგენლის - დირექტორის უფლებამოსილება ჩემს მიერ დაადგენილია/შემოწმებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო [არაკომერციული] იურიდიული პირების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ წარმოებული რეესტრიდან.
მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტები:
ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
გადახდილია სანოტარო საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.12.2011 წ.) 31–ე მუხლის საფუძველზე 30.00 ლარი 39-ე მუხლის საფუძველზე 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. 5.54 ლარი ჯამში: 40.40 ლარი.

ხელმოწერა: მეცლუდი მელაძე

საქართველოს ნოტარიუსის შემცვლელი პირი
ნანა მოსია

მინდობილობა

მე, ალექსანდრე ლომაძემ, როგორც ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ პრეზიდენტმა, რომელიც შემდეგ ამ მინდობილობაში წოდებულია „მიმნდობი“ ამ მინდობილობით **მარიამი ბარბაქაძეს** [დაბ. 04.02.1991წ. პ/ნ 01019066422], რომელიც შემდეგში ამ მინდობილობაში წოდებულია „მინდობილი“ მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: იყოს ჩემი, როგორც ა(ა)იპ „საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის“ (ს/კ 206344972) პრეზიდენტის წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან, გამგეობაში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობაში არსებული საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საკრებულოში, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, ტექბიუროში, კომუნალური მომსახურების კავშირგაბმულობის, ბუნებრივი აირით უზრუნველყოფის სამსახურებთან ურთიერთობისას, სანოტარო ბიუროში, საპატრულო პოლიციაში, საჯარო რეესტრში, არქივში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საამზომველო კომპანიებში, უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკვეთი 04/030, საკ.კოდი N01.19.13.004.045, და/ან ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ნაკვეთი 0030, საკ.კოდი N 01.19.13.004.644 (მოალნაგე: შპს „საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია“] მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (*გაპი*). რეკვიზიტების / განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) მიღებასთან, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანასთან. ფართი, მისამართი, პირადობის მონაცემები, ნომრის მინიჭება, გაყოფა, გამიჯვნა, გაერთიანება, დანიშნულების შეცვლა, საზღვრის დადგენა. წითელი ხაზების რეგისტრაცია, ცვლილება და სხვა), შენობის დემონტაჟთან,

რეკონსტრუქციასთან, ნებისმიერი ტიპის შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან, მიშენება დაშენება, ღიობის ამოჭრა, სარემონტო სამუშაოების წარმოებასთან, კომუნიკაციის საშუალებების, ბუნებრივი აირის წყლის ელექტრო ენერგიის შეყვანასთან, მრიცხველების დამონტაჟებასთან, აბონენტად რეგისტრაციასთან, პროექტის წარდგენასთან. შეთანხმებასთან, ცვლილების შეტანასთან კორექტირებასთან, ნებართვების მიღებასთან და უძრავი ქონებ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მინდობილი პირი უფლებამოსილია იმოქმედოს შპს-ს სახელით, დაესწროს სხდომებს, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია (ამონაწერი, ცნობა, მოწმობა, ასლი), ნებართვა, ნახაზი, ფოტომონტაჟი და ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონულად), შეიტანოს ცვლილება, გააუქმოს/მოხსნას ვალდებულებითი შეზღუდვა, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში, დამატებით წარადგინოს დოკუმენტები, აღმოფხვრას ხარვეზი, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, თანხმობა, გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადი, ხელი მოაწეროს სათანადო დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს (მათ შორის ელექტრონულად), შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ მინდობილობით დადგენილი დავალების შესრულებასთან. მინდობილობა გაცემულია 1 [ერთი] წლის ვადით.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 6749092

გაცემის თარიღი: 08/11/2023 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1995055
შემოსვლის თარიღი: 13/10/2023
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.19.13.004.045
- მისამართი: ქალაქი თბილისი , სამგორის რაიონი , ნაკვეთი 04/030
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 76055.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): ა.ი.პ. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია (206344972)

ნომენკლატურა :

- **სპორტული დარბაზი/კომპლექსი**
- **III კლასი**
- **ახალი მშენებლობა**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- მარიამი ბარბაქაძე პ/ნ 01019066422
- მისამართი: თბილისი ერწოს ქ. N 4 კორ. 4 ბ. 123

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: № 5236186 (№ 5428200 - 14/06/2021)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 18.01.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სპორტულ გამაჯანსაღებელი ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამი ბარბაქაძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ბარმერ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 436055019

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს საქართველოს ავტომობილის მართვის აკადემია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 402069006
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მევლუდი მელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030024390

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 76055.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1707.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1687.8
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 145.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 724.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 79.6
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 51.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 687.6
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5175.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 5006.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 168.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.77
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 10.02
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.75
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ3=47927.8/76055=0.6; კ3=0.6

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შემდგომ შეცვლილია ფუნქციური ზონა, საჭიროა პარალელურად დააყენოთ გაპში ცვლილების კუთხით მოთხოვნა.

2. ვინაიდან, თბილისის ინტერაქტიულ რუკის მონაცემების მიხედვით საპროექტო სამშენებლო სამუშაოების წარმოება უკვე დაწყებულია, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი, დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი და საჭიროების შემთხვევაში, დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა, დამოწმებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ და ინფორმაცია შემსრულებლის (ექსპერტის) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:

- წარმოდგენილ იქნას საპროექტო ტერიტორიის, არსებული სიტუაციის ამსახველი განახლებული ფოტოსურათები. გაითვალისწინეთ, რომ ფოტოსურათები უნდა ასახავდეს ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობას სრულად.

4. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

- მისაწვდომ სვლა-გეზს საზოგადოებრივ სივრცემდე მიეთითოს დახრის პროცენტულობა

5. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

- ნახაზებზე დაიტანეთ ლიფტის კარი და მიუთითეთ ზომები
- წარმოადგინეთ გადახურვის ნახაზები, მიუთითეთ საპროექტო ნიშნულები.

6. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით)

- **კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :** საანგარიშო კროკი საპროექტო შენობის გარე კონტურს უნდა შეესაბამებოდეს, შესაბამისად დააკორექტირეთ ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი საანგარიშო კროკი და ველში მითითებული ინფორმაცია.
- **კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :** საანგარიშო კროკი საპროექტო შენობის გარე კონტურს უნდა შეესაბამებოდეს, შესაბამისად დააკორექტირეთ ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი საანგარიშო კროკი და ველში მითითებული ინფორმაცია.

  ასევე, გაითვალისწინეთ, რომ სრულყოფილად უნდა იანგარიშოთ კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართში მე-2 სართულზე გადახურული ფართები.
- **კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :** დაცული იქნას დადგენილი მინიმალური კ-3 კოეფიციენტი 0.8

7. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :

- განაახლეთ ზემოაღნიშნული ხარვეზების შესაბამისად.

8. III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::

- დეტალურად განიმარტოს მისაწვდომი ტრიბუნების 732-ე დადგენილებასთან შესაბამისობის თაობაზე. ასევე განხილულ იქნას 732-ე დადგენილების 802-ე ქვეთავთან შესაბამისობის თაობაზე.

- დეტალურად განიმარტოს ავტოსაშხეფი სისტების 41-ე დადგენილებასთან შესაბამისობის თაობაზე, ამჟამად წარმოდგენილი განმარტება არ არის მისაღები ვინაიდან საექსპერტო შეფასებაში განხილული 903.2.1.5 ქვეთავი ეხება მხოლოდ თვ-5 დაკავებულობას.

9. თქვენი განცხადება გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა (წერილი N: 60-01233062279 - 02.11.2023) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილი N: 60-01233063070 - 02.11.2023) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით.

10. წარმოსადგენია მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევა. კონსტრუქციული პროექტში ასახული საკადასტრო მონაცემები არ შეესაბამება განცხადებით მოთხოვნილს.წარმოსადგენია კონსტრუქციული სივრცითი მოდელის ანგარიში (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილებები და რხევის პერიოდი) ექსპორტირებული საანგარიშო კომპლექსიდან და დასტურდებოდეს შემსრულებლის მიერ, რომ მზიდი ელემენტები გაანგარიშების მიხედვით აკმაყოფილებენ სიმტკიცისა და მზიდუნარიანობის მოთხოვნებს.

11. საინჟინრო გეოლოგიური კვლევა:

- კვლევაში დაიკვირვება სხვადასხვა შრიფტით აკრეფილი ტექსტი, რაც იწვევს გონივრულ საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილი აქვს კომპიუტერულ მანიპულაციას, რაც დაუშვებელია - უნდა განიმარტოს.

- წარმოდგენილ ს/გეოლოგიურ კვლევას თანდართულ, ნიმუშების და სინჯების ლაბორატორიული გამოცდების შედეგების ყველა უწყისს და კრებსით უწყისს აკლია დათარიღება (ყველა არსებული სტანდარტის მიხედვით, გარკვევით, სიტყვიერად მითითებულია, რომ ლაბორატორიული გამოკვლევების ცხრილების სპეც. გრაფაში უნდა ეწეროს, გრუნტის ნიმუშის თუ წყლის სინჯის (არსებობის შემთხვევაში) აღების, გამოცდის და უწყისის გაფორმების კონკრეტული, ზუსტი თარიღი), ლაბორატორიის გამგის ხელმოწერა (სველი) და ბეჭედი (სველი). ლაბორატორიის უწყისებზე ხელმოწერაში ფიქსირდება კომპიუტერული მანიპულაცია.

- კვლევას თანდართულ გრაფიკულ გამოსახულებებზე ზოგი მონაცემი არ ჩანს, არ იკითხება, ბუნდოვანია. გრაფიკა ცუდად არის დასკანერებული. ამასთან წარმოდგენილ ს/გეოლოგიურ კვლევას თანდართულ იზოჰიბსებიან და აბსოლუტურ ნიშნულებიან ტოპოგეგმაზე დატანილი უნდა იყოს საკვლევი ტერიტორიის საკადასტრო კონტური.

- სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიურ სვეტებს აკლია თარიღის გრაფა, სადაც მინიშნებული უნდა იყოს სამთო გამონამუშევრების გაყვანის დაწყების და დასრულების კონკრეტული თარიღი.

- კვლევას თანდაღტულ გეოლოგიურ ჭრილზე ქვედა ქუდში ნაჩვენები მონაცემები არ შეესატყვისება თავად ჭრილზე დატანილს და კვლევის ტექსტში ნაჩვენებს - უნდა განიმარტოს.

- წარმოდგენილ ს/გეოლოგიურ კვლევას აკლია საექსპერტო დასკვნა. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული და განახლებული დოკუმენტაცია შენიშვნების გათვალისწინებით.

12. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელ-გაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა - ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი